

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა ფილოსოფიაში
პროგრამა ძირითადი (major) სპეციალობისთვის
120 კრედიტი

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება ფილოსოფია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, BA in Humanities
3. პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფესორი კახა კაციტაძე
4. ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება)

საკვალიფიკაციო დახასიათება

მთელ მსოფლიოში საუნივერსიტეტო სპეციალობებს შორის ფილოსოფიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ფილოსოფია არის სამყაროს ინტელექტუალური გაგებისა და სამყაროში ჩვენი ადგილის განსაზღვრის გული. ფილოსოფია არის კაცობრიობის ნაწილი და აგრეთვე ცოცხალი ძალა მეცნიერებათა საფუძვლების კვლევაში. ისეთი საგნები როგორცაა ფიზიკის ფილოსოფია და ბიოლოგიის ფილოსოფია მზარდი მნიშვნელობისაა. სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია გამოსადეგია სოციალური თეორიისათვის. საყოველთაოდ ცნობილი კავშირია ლოგიკასა და კომპიუტერულ დარგებს (ინფორმატიკას) შორის. თავისი კარდინალური როლის გამო ფილოსოფია აუცილებლად უნდა იყოს ნებისმიერი უნივერსიტეტის მუშაობის “გული”, თუ უნივერსიტეტი იმსახურებს ამ სახელს. მართლაც უნივერსიტეტი შესაბამისი დონის ფილოსოფიური მუშაობის გარეშე აუფასურებს თავის თავს, როგორც სასწავლო დაწესებულება. ფილოსოფოსებმა უკანასკნელ წლებში მეტად აქტიურად მოკიდეს ხელი პრაქტიკულ საკითხებს, მაგალითად ისეთ დარგებს, როგორცაა გამოყენებითი და პროფესიული ეთიკა, ბიოეთიკა, პოლიტიკური ფილოსოფია, ბიზნეს ეთიკა. ფილოსოფია არის როგორც ანალიტიკური, ასევე სისტემატური, განიხილავს თავის საკუთარ ფილოსოფიის ისტორიას და ყველა ქვეყანაში ფილოსოფიას თავისი ტრადიცია გააჩნია, მაგრამ მისი სწავლება მჭიდროდ დაკავშირებულია მის სწავლებასთან მთელ მსოფლიოში.

ფილოსოფიის ფაკულტეტი თსუ- ში ჩამოყალიბდა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისთანავე (1918 წელს). იგი უნივერსიტეტის პირველი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ნაწილი იყო. მის სათავეში იდგნენ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები – შალვა ნუცუბიძე და დიმიტრი უზნაძე, რომლებიც ივანე ჯავახიშვილთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის დაარსებაში.

მოგვიანებით მათ შეემატნენ: სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე, სავლე წერეთელი, კიტა მეგრელიძე, ნიკო ჭავჭავაძე, ზურაბ მიქელაძე, ზურაბ კაკბაძე, მერაბ მამარდაშვილი. ისინი აგრძელებდნენ ქართული ფილოსოფიის მდიდარ ტრადიციებს. ამ მოაზროვნეებმა თავიანთი შრომებით, რომელთაგან ბევრი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი, გაამდიდრეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული ფილოსოფიური აზროვნება.

პროგრამის მიზანი

- ფილოსოფია ცდილობს გაიგოს და კრიტიკულად გაიაზროს იდეები, რომლებიც ეხება სინამდვილის ბუნებას (ონტოლოგია) ღირებულებებს და შემეცნების მეთოდებსა და ხასიათს, რომლებიც თამაშობენ წამყვან როლს სამყაროს და ჩვენი თავის შეცნობაში. ისეთი პრობლემატური ცნებები, როგორცაა ექსისტენცია, გონება, გამოცდილება, ჭეშმარიტება გვხვდება ცოდნის ყველა სფეროში. არსებობს ისეთი ფილოსოფიური ცნებები, რომლებიც ძალზედ დიდ როლს ასრულებენ აზროვნების და პრაქტიკის ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორცაა ხელოვნება და პოლიტიკა.
- სწავლების მიზანია სტუდენტებს თავად გაუჩნდეთ ფილოსოფიურ პრობლემებზე ფიქრის, შეკითხვების დასმის, მათ შესახებ დისკუსიისა და მათზე პასუხის გაცემის სურვილი. პროგრამის მიზანია, ზოგად თეორიულ ცოდნასთან ერთად, რომელიც მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს. აქ იგულისხმება ისეთი თემები, როგორცაა ექსისტენცია, ჭეშმარიტება, დრო-სივრცე, მიზეზობრიობა, თავისუფლების ცნება, აზროვნება და სხეული, ღმერთი, ცოდნა, რაციონალურობა, ლოგიკა, პასუხისმგებლობა, სიკეთე, მშვენიერება, ინტერპრეტაცია და ისტორიულობა. ასევე ადამიანის პრაქტიკისა და კვლევის ისეთი სპეციფიკური დარგების ფილოსოფიური შესწავლა, როგორცაა ენა, მეცნიერება, საზოგადოებრივი მეცნიერებანი, პოლიტიკა, კანონი, განათლება, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება და გამოყენებითი ეთიკა.
- ფილოსოფია ათასწლეულების მანძილზე გამოიყენებოდა განსხვავებული კულტურების მიერ, რითაც არაერთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, რაც ასახულია ფილოსოფიური აზრის ეპოქალურ თავგადასავლებში. ზოგადთეორიულ ცოდნასთან ერთად სტუდენტები ისწავლიან მუშაობას ფილოსოფიურ ტექსტებზე, მათ შესახებ მსჯელობას, მათში დასმულ ძირითად ფილოსოფიურ პრობლემათა გამოკვეთას და შეძლებისდაგვარად მათ განხილვას ზოგად-ფილოსოფიურ კონტექსტსა და ფილოსოფიურ-ისტორიულ ჭრილში.

- პროგრამის შედეგები:

1. ცოდნა და გაცნობიერება		სწავლა, სწავლება და შეფასება
1.1.	ზოგად ფილოსოფიაში ძალზე ფართო სპექტრის ცოდნა, როგორცაა არსება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, კაუზალობა, სული და სხეული, ღმერთი.	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.6, 1.7, 1.8 ცოდნის შეძენა ხორციელდება ლექციების მეშვეობით. 1.3, 1.4, 1.5, 1.6 ცოდნის შეძენა ხორციელდება სემინარების მეშვეობით.
1.2.	ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევას ცოდნას იმისას, თუ რა არის მოვალეობა, სიკეთე, მშვენიერება.	1.2, 1.4, 1.7 წერილობითი ნამუშევრების განხილვა-შეფასება.
1.3.	ფილოსოფიის კონკრეტული სფეროს ცოდნა, როგორცაა: ენა, მეცნიერება, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, რელიგია, კულტურა, გამოყენებითი ეთიკა.	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.6, 1.7, 1.8 – ორჯერადი წერითი კოლოქვიუმით.
1.4.	ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა, განსაკუთრებით დასავლური ტრადიციის, კლასიკოსების, მათი იდეების და არგუმენტების შესწავლა და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიის ცოდნა.	1.4, 1.6 შეძენა ხორციელდება კონსულტაციების დროს. შეფასება: 1.1-1.8 წერითი გამოცდა.
1.5.	ძირითადი ფილოსოფიური თეორიების ცოდნა ისეთ სფეროებში, როგორცაა მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია და ლოგიკა.	
1.6.	სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითადი თეორიების ცოდნა.	
1.7.	ფილოსოფიაში ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა.	
1.8.	ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა.	
<p>ფილოსოფიის პროგრამით სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს დისციპლინის მოთხოვნის შესაბამისი ჩვევები. ნაგულისხმევია, რომ კურსდამთავრებულები შეიძენენ ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში.</p>		
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკული უნარები		სწავლა, სწავლება და შეფასება
2.1.	განსახილველი საკითხის ნათლად არტიკულირება სფეროებში.	2.2, 2.5, 2.7, 2.10 პრეზენტაციებისას და დებატებისას.
2.2.	აზრის სიზუსტის მიღწევა და მისი ადექვატური გამოყენება რთულ და წინააღმდეგობრივ დებატებისას.	2.1, 2.3, 2.4, 2.7 წერითი ნამუშევრების – ესსეს წარმოდგენისას.
2.3.	სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ	

<p>2.4. სპეციფიკური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადექვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში.</p> <p>2.5. წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასება.</p> <p>2.6. აბსტრაგირების უნარი, ანალიზის და გადმოსაცემი არგუმენტების ჩამოყალიბება და ლოგიკური შეცდომების დადგენა.</p> <p>2.7. კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი, პოზიციის დამადასტურებელი, ან საწინააღმდეგო მაგალითების აღმოჩენა და შესაფერისი ძლიერი და სუსტი მოსაზრებების განცალკევება.</p> <p>2.8. სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმა.</p> <p>2.9. მეთოდოლოგიური შეცდომების გაცნობიერება.</p> <p>2.10. უნარი, მოიყვანოს არგუმენტები განხილვის კრიტიკულ მომენტში ყოველგვარი შეურაცხყოფისა და წყენის მიყენების გარეშე.</p>	<p>შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერპრეტაცია.</p>	<p>2.4, 2.7, 2.8 ხორციელდება სემინარების და კონსულტაციების დროს.</p> <p>2.3, 2.5, 2.6, 2.7, 2.9 უნარების გამომუშავება ხდება სემინარზე.</p> <p>2.2, 2.3, 2.4, 2.5 კოლოქვიუმზე და საბოლოო წერით გამოცდაზე</p>
3. ზოგადი/ტრანსფერული უნარი		სწავლა, სწავლება და შეფასება
<p>3.1</p>	<p>გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები, სხვა დისციპლინათა ნაკლოვანებებისა და ღირსების განხილვით და აღმოაჩინოს ფილოსოფიური დოქტრინები უცნობ არეებზე.</p>	<p>3.1, 3.2, 3.4 უნარები ვითარდება ლექციებზე და ზეპირი მოსმენისას.</p> <p>3.3, 3.5, 3.9 უნარები</p>
<p>3.2.</p>	<p>შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.</p>	<p>გამომუშავდება პრეზენტაციებისას და დებატებისას.</p>
<p>3.3.</p>	<p>კომუნიკაცია, მკაფიოდ და ეფექტურად სელექციის უნარი როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით.</p>	<p>3.5, 3.8 უნარების განსავითარებლად გამოიყენება ესეების დამუშავება და სემინარები.</p>
<p>3.4.</p>	<p>ინფორმაციის სრული, მთლიანი ჩონჩხის ჩამოყალიბების უნარი.</p>	<p>3.6, 3.7 თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა.</p>
<p>3.5.</p>	<p>შემოქმედებითი, თვითკრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.</p>	<p>შეფასება:</p>
<p>3.6.</p>	<p>დროის ორგანიზებისა და შრომის ორგანიზების უნარი.</p>	<p>3.2, 3.4, 3.5 უნარების განვითარებას ხელს შეუწყობს კოლოქვიუმები, საკურსო</p>
<p>3.7.</p>	<p>საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი.</p>	<p>საკურსო</p>

3.8.	საკუთარი თავის მოტივირების უნარი.	ნამუშევრების დამუშავება
3.9.	კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი. კურსდამთავრებულებმა უნდა განავითარონ ტრანსფერული ჩვევები, რომლებიც საერთოა ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლისას.	

- ფილოსოფიის სწავლება უნდა იყოს აქტიური პროცესი შემდეგი ფორმებით: ა. ლექციები, ბ. კონსულტაციები, გ. სემინარები, დ. სტუდენტის წერილობითი ნამუშევრების განხილვა-შეფასება, პრეზენტაცია, ესეები, კოლოქვიუმი, გამოცდები. ფილოსოფიის სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტებია: ა. სტუდენტის გააზრებული კითხვა, სემინარული დისკუსია, ბ. კონსულტაციისა ან სხვა რაიმე ფორმით უნდა მომდინარეობდეს საკითხების ცოცხალი განხილვა, გ. სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების, ესეების განხილვა-შეფასება. ფილოსოფიის სწავლებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის უწყვეტი პროგრესი ფილოსოფიურ აზროვნებაში და განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის უნარი., საბაკალავრო ნაშრომზე აქტიური მუშაობა.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, რელიგიის, კულტურის და პოლიტიკის შესახებ მონაცერმთა ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად.

სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: წარმატებულ კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

მიღების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე.

ძირითადი სპეციალობის არჩევა სასურველია მესამე სემესტრიდან.

პროგრამის სტრუქტურა. (იხ. დანართი 1)

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი (240 კრედიტი)

ძირითადი პროგრამა- 120 კრედიტი:

სავალდებულო 75 კრედიტი

არჩევითი - 40 კრედიტი

საბაკალავრო ნაშრომი -5 კრედიტი

სილაბუსები. იხ. დანართი

- **შეფასების ზოგადი წესი:**

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში

პროგრამაში მონაწილე ლექტორები: პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების 4 სრული, 7 ასოცირებული და 2 ასისტენტ პროფესორი.

ფილოსოფიის (კოდი -08)

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამა განხორციელდება თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში. პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერით და ინტერნეტით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ვებ-გვერდზე განთავსებულ უცხოურ მასალებს, რომელიც მათ ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული საგნების წარმატებით დაუფლებაში.

სტუდენტები ისარგებლებენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, ფილოსოფიის ინსტიტუტის შალვა ნუცუბიძის სახელობის კაბინეტით, სადაც არსებობს საჭირო ლიტერატურა. საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლებათ ისარგებლონ აკადემიის სისტემის ფილოსოფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით.

დამატებითი (minor) სპეციალობისთვის

პროგრამა ფილოსოფია

1. დამატებითი სპეციალობის პროგრამის დასახელება – **ფილოსოფია**
2. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება).

მიზანი

დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

- სწავლების მიზანია გამოუმუშავონ სტუდენტებს ფილოსოფიურ პრობლემებზე ფიქრის, შეკითხვის დასმის, მათზე პასუხის გაცემის და დისკუსიის უნარ-ჩვევები. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს მისცეს ცოდნა თეორიულ სპექტრში. შეისწავლონ ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის საკითხები, ადამიანის, ჭეშმარიტების, დრო-სივრცული მიზეზობრიობის, ღმერთისა და თავისუფლების პრობლემებს, ლოგიკის, სიკეთის, მშვენიერებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

ფილოსოფიური აზრის ეპოქალური განვითარების ეტაპებს. ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი დროის ფილოსოფიას, რაც შესაძლებლობას მისცემს

სტუდენტს არჩევითი საგნების არჩევის დროს სწორი ორიენტირი ჰქონდეს, თავისი ძირითადი სპეციალობიდან გამომდინარე შესატყვისი პროგრამის არჩევისა. მაგალითისთვის, ეს იქნება გნოსეოლოგიის ენის ფილოსოფია, ჰერმენევტიკის ფილოსოფია, სოციალური ფილოსოფია და ა.შ.

სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ფილოსოფიურ ტექსტზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის უნარი

სწავლის შედეგი

1. ცოდნა და გაცნობიერება		სწავლა, სწავლება და შეფასება
1.1.	ზოგად ფილოსოფიაში ფართო სპექტრის ცოდნა, როგორცაა არსება, ჭეშმარიტება, თავისუფლება, კაუზალობა, სული და სხეული, ღმერთი.	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.6 ცოდნის შეძენა ხორციელდება ლექციების მეშვეობით.
1.2.	ფილოსოფიის კონკრეტული სფეროს ცოდნა, როგორცაა: ენა, მეცნიერება, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, რელიგია, კულტურა, გამოყენებითი ეთიკა.	1.3, 1.4, 1.5, 1.6 ცოდნის შეძენა ხორციელდება სემინარების მეშვეობით.
1.3.	ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა, განსაკუთრებით დასავლური ტრადიციის, კლასიკოსების, მათი იდეების და არგუმენტების შესწავლა და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიის ცოდნა.	1.2, 1.4, 1.6 წერილობითი ნამუშევრების განხილვა-შეფასება.
1.4.	ძირითადი ფილოსოფიური თეორიების ცოდნა ისეთ სფეროებში, როგორცაა მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია და ლოგიკა.	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.6 – ორჯერადი წერიტი კოლოქვიუმით.
1.5.	ფილოსოფიაში ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა.	1.4, 1.6 შეძენა ხორციელდება კონსულტაციების დროს.
1.6.	ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა.	შეფასება: 1.1-1.6 წერიტი გამოცდა.
<p>ფილოსოფიის პროგრამით სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს დისციპლინის მოთხოვნის შესაბამისი ჩვევები. ნაგულისხმევია, რომ კურსდამთავრებულები შეიძენენ ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში</p>		
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკული უნარები		სწავლა, სწავლება და შეფასება
2.1.	განსახილველი საკითხის ნათლად არტიკულირება-ესთეტიკა სხვადასხვა სფეროებში.	2.2, 2.5, 2.6 პრეზენტაციებისას და დებატებისას.
2.2.	სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერპრეტაცია.	2.1, 2.3, 2.4 წერიტი ნამუშევრების – ესსეს წარმოდგენისას.
2.3.	სპეციფიკური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში.	2.4, 2.7 ხორციელდება სემინარების და კონსულტაციების დროს.

<p>2.4.</p> <p>2.5.</p> <p>2.6.</p>	<p>წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასება.</p> <p>სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმა.</p> <p>საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი, არგუმენტების მოყვანის უნარი განხილვის კრიტიკულ მომენტში ყოველგვარი შეურაცხყოფისა და წყენის მიყენების გარეშე.</p>	<p>2.3, 2.5, 2.6 უნარების გამომუშავება ხდება სემინარზე.</p> <p>2.2, 2.3, 2.4, 2.5 კოლოქვიუმზე და საბოლოო წერით გამოცდაზე</p>
<p>3. ზოგადი/ტრანსფერული უნარი</p>		<p>სწავლა, სწავლება და შეფასება</p>
<p>3.1</p> <p>3.2.</p> <p>3.3.</p> <p>3.4.</p> <p>3.5.</p> <p>3.6.</p> <p>3.7.</p> <p>3.8.</p> <p>3.9.</p>	<p>გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები, სხვა დისციპლინათა ნაკლოვანებებისა და ღირსების განხილვით და აღმოაჩინოს ფილოსოფიური დოქტრინები უცნობ არეებზე.</p> <p>შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.</p> <p>კომუნიკაცია, მკაფიოდ და ეფექტურად სელექციის უნარი როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით.</p> <p>ინფორმაციის სრული, მთლიანი ჩონჩხის ჩამოყალიბების უნარი.</p> <p>შემოქმედებითი, თვითკრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.</p> <p>დროის ორგანიზებისა და შრომის ორგანიზების უნარი.</p> <p>საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი.</p> <p>საკუთარი თავის მოტივირების უნარი.</p> <p>კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი. კურსდამთავრებულებმა უნდა განავითარონ ტრანსფერული ჩვევები, რომლებიც საერთოა ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლისას.</p>	<p>3.1, 3.2, 3.4 უნარები ვითარდება ლექციებზე და ზეპირი მოსმენისას.</p> <p>3.3, 3.5, 3.9 უნარები გამომუშავდება პრეზენტაციებისას და დებატებისას.</p> <p>3.5, 3.8 უნარების განსავითარებლად გამოიყენება ესეების დამუშავება და სემინარები.</p> <p>3.6, 3.7 თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა.</p> <p>შეფასება: 3.2, 3.4, 3.5 უნარების განვითარებას ხელს შეუწყობს კოლოქვიუმები, საკურსო ნამუშევრების დამუშავება</p>

- ფილოსოფიის სწავლება უნდა იყოს აქტიური პროცესი შემდეგი ფორმებით: ა. ლექციები, ბ. კონსულტაციები, გ. სემინარები, დ. სტუდენტის წერილობითი ნამუშევრების: რეფერატი, ესსე, განხილვა-შეფასება, პრეზენტაცია, კოლოქვიუმი, გამოცდა.

ფილოსოფიის სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტებია: ა. სტუდენტის სემინარული დისკუსია, ბ. კონსულტაციის ან სხვა რაიმე ფორმით უნდა მომდინარეობდეს საკითხების ცოცხალი განხილვა, გ. სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების, ესეების განხილვა-შეფასება.

- **შეფასების ზოგადი წესი:**

- სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

- მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

- შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

- შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

საბოლოო გამოცდა ტარდება წერთი ან კომბინირებული (წერა-ზეპირი) ფორმით.

დასაქმების სფეროები

- დასაქმებას განსაზღვრავს კურსდამთავრებულის ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა ფილოსოფია ხელს შეუწყობს ანალიზის, შეფასების ექსპერტად მუშაობას.
- დამატებითი სპეციალობა ფილოსოფიის წარმატებულ კურსდამთავრებულს მეტი შესაძლებლობა ეძლევა სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

3. დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა

დამატებითი სპეციალობაზე ფილოსოფიაში შეუძლია ისწავლოს უნივერსიტეტის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტმა, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა (ესენია: სამართალი და მედიცინა)